



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოება
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Cybersecurity
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	კიბერუსაფრთხოების დოქტორი, 0613
ინგლისურად:	PhD of Cybersecurity, 0613
პროგრამის დამტკიცების თარიღი	ბრძანება #01/01-20, 18.03.2025
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი	ხელმძღვანელი - მაქსიმ იავიჩი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის პრეზიდენტი, +995 595 511 355 miavich@cu.edu.ge თანახელმძღვანელი - ვლადიმერ სვანაძე, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, +995 577 155 168, vsvanadze@cu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). კიბერუსაფრთხოების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისგან. კვლევითი კომპონენტი მოიცავს არანაკლებ 2 წელს (4 აკადემიური სემესტრს).	
სასწავლო პროცესი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სასწავლო კურსი/სემინარი გრძელდება ერთი სემესტრი. სემესტრი შედგება კალენდარული კვირებისაგან. 1 ECTS კრედიტი	

შეესაბამება 25 სასწავლო საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს (ლექციები, სემინარები, გამოცდები და ა.შ.), ასევე დამოუკიდებელ სასწავლო საათებს.

სასწავლო კომპონენტის 60 ECTS-დან:

- 34 ECTS კრედიტი მოდის სავალდებულო სემინარებსა და მეთოდოლოგიური კურსებზე;
- 6 ECTS კრედიტი - არჩევით სემინარზე (სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი არჩევითი სემინარი);
- 20 ECTS კრედიტი - სავალდებულო სწავლება ან/და კვლევის ასისტირების მოდულზე.

კვლევის კომპონენტი მოიცავს დისერტაციას. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში სადისერტაციო თემატიკის მიმართულებით;
- დოქტორანტი ვალდებულია არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს (ან გამოქვეყნების შესახებ თანხმობა ქონდეს). მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს სფეროს სპეციფიკის შესაბამის უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. გამოქვეყნებული სტატიები თემატურად დაკავშირებული უნდა იყოს დისერტაციის თემასთან.
- კვლევის კომპონენტზე რეგისტრაციის შემდეგ დოქტორანტი ვალდებულია ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ წინასწარ განსაზღვრული ფორმების მიხედვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი
- ✓ დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. აპლიკანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
- ✓ დიპლომის დანართის/ნიშნების ფურცლის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ✓ მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ტექნოლოგიების სკოლის B2 დონის მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში;
- ✓ კანდიდატის კვლევით ინტერესებთან თანმხვედრი კვლევითი თეზისი ინგლისურ ენაზე;
- ✓ შესაბამის სფეროში წინარე პუბლიკაციები ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ ორი სარეკომენდაციო წერილი ინგლისურ ენაზე;
- ✓ რეზიუმე (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე.
- ✓ კონკურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ტექნოლოგიების სკოლის მისაღები გამოცდა მათემატიკაში.
- ✓ კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.

* მიღების ვადები და პირობები მტკიცდება მიმღები კომისიის მიერ და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	კიბერუსაფრთხოების სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე ტექნოლოგიების სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. პროგრამა მხედველობაში იღებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული კიბერუსაფრთხოების სადოქტორო პროგრამების წარმატებულ გამოცდილებას, ასევე კიბერუსაფრთხოების კვლევის სფეროს განვითარების ტენდენციებს; პროგრამის მიზნებია: • მოამზადოს დოქტორანტები კიბერუსაფრთხოების სფეროში კვალიფიციურ მკვლევრებად, რომლებსაც შეეძლებათ გამოიყენოს დარგის თანამედროვე თეორიები და კვლევის მეთოდოლოგიები მომხმარებელთა ქცევისა და კიბერუსაფრთხოების ან მასთან დაკავშირებული სფეროს კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. • კვლევის კომპეტენციების გამომუშავება: იმისათვის, რომ დოქტორანტებმა დამოუკიდებლად დაგეგმონ და ჩაატარონ ორიგინალური კვლევა შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სანდო მონაცემების გამოყენებას სამეცნიერო კვლევებისთვის. • ცოდნის გაღრმავება კრიტიკული ანალიზის საშუალებით: იმისათვის, რომ დოქტორანტებმა კრიტიკულად გააანალიზონ და შეაფასონ კვლევის შედეგები, რაც მათ საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბონ ორიგინალური დასკვნები და შეიმუშაონ თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები კიბერუსაფრთხოების გამოწვევების ინოვაციური გადაწყვეტისთვის. • აღჭურვოს დოქტორანტი პროგრესული პედაგოგიური უნარ-ჩვევებით, რათა მათ ეფექტურად გადასცენ ცოდნა სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების მეშვეობით. • დოქტორანტები აღჭურვოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის მაღალი სტანდარტებით, რათა მათ ჩაატარონ და განახორციელონ კვლევა კეთილსინდისიერად და სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებული ნორმების დაცვით. • მოამზადოს დოქტორანტები იმისთვის, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ და ინტეგრირდნენ კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში, რათა გაუძლიერდეთ კვლევითი თვალსაწიერი. ეს მიზნები შექმნილია იმისთვის, რომ კიბერუსაფრთხოების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ არა მხოლოდ თავიანთი სფეროს ექსპერტები, არამედ იყვნენ ეთიკური, გლობალურად ინფორმირებული და ეფექტური პედაგოგები და განმანათლებლები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ როგორც აკადემიურ, ასევე ბიზნეს სექტორში საქართველოში.
--------------------------------	--

პროგრამის სწავლის შედეგები	კურსდამთავრებული: ცოდნა და გაცნობიერება: 1. კრიტიკულად აფასებს კიბერუსაფრთხოების მოწინავე თეორიებს, ცნებებსა და მოდელებს კიბერუსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული სფეროების ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა პოლიტიკების და სტრატეგიები თუ ტექნიკური. უნარი: 2. ახდენს კიბერუსაფრთხოებაში უახლესი მიღწევებისა და თეორიული ცოდნის სინთეზს, რათა დაადგინოს კომპლექსური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კიბერუსაფრთხოების ან მასთან დაკავშირებულ სფეროებთან. 3. დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს კვლევას, შესაბამისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით სანდო მონაცემებისა და შედეგების მისაღებად. 4. ახდენს ახალი, რთული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს და სინთეზს, აყალიბებს ორიგინალურ დასკვნებს და შეიმუშავებს ინოვაციურ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ კიბერუსაფრთხოების პრაქტიკისა და თეორიის განვითარებას. 5. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ორიგინალური კვლევის შედეგების საფუძველზე, ქმნის სამეცნიერო პროდუქტს და ახდენს კვლევის შედეგების ეფექტურ კომუნიკაცია-გავრცელებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო კონფერენციებში, მსჯელობებში, პროექტებში თუ სხვა მონაწილეობის გზით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: 6. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური კვლევის პრინციპებს, პატივს სცემს სხვადასხვა შეხედულებებს და ინარჩუნებს ანგარიშვალდებულებას ყველა სამეცნიერო საქმიანობაში.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებები, ანალიტიკური კვლევითი ცენტრები, კონსალტინგური კომპანიები, სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები, კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საჯარო სექტორებში.

პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის/მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III				
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი			
1.	SIWR 7111C	არ აქვს	კვლევის მეთოდები	2								2
2.	SEM 7112C	არ აქვს	სემინარი ხელოვნური ინტელექტის კიბერუსაფრთხოებაზე	6								6
3.	REME 7114C	არ აქვს	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	6								6
4.	TEME 7112C	არ აქვს	სწავლების მეთოდოლოგია	4								4
5.	REME 7214C	არ აქვს	ხარისხობრივი კვლევის მეთოდები		4							4
6.	SEM 7213C	არ აქვს	სემინარი კიბერდიპლომატიასა და ტექნოლოგიებზე		6							6
7.	SEM 7214C	არ აქვს	სემინარი პოსტ - კვანტურ კრიპტოგრაფიაზე									
8.	TEAS 7001C	TEME 7112C	სწავლება ასისტირება: სილაბუსი და კონცეფცია		2							2
9.	REDE 7121C	SIWR 7111C	კვლევის დიზაინი		6							6
10.	REME 7125C	REME 7114C	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი		6							6
11.	TEAS 7002C	TEME 7112C REDE 7121C	სწავლება -ასისტირება			6						6
12.	TEAS 7003C	TEME 7112C REDE 7121C	სწავლება - ასისტირება				6					6
13.	REAS 7002C	REME 7114C REME 7214C REDE 7121C	კვლევითი-ასისტირება									
14.	REAS 7001C	REME 7114C REME 7214C REDE 7121C	კვლევითი-ასისტირება					6				6
15.	DISS 7321C		დისერტაცია			X	X	X	X			
ECTS კრედიტები			სემესტრში	18	24	6	6	6				
			წელიწადში	42		12	6					

შენიშვნა:

თუ სასწავლო ბადე რაიმე გამონაკლისს ან დათქმას ითვალისწინებს, აისახება სიტყვიერი განმარტებით ამ გრაფაში.